

მარიამ ხასაია

კავკასიის ბისნესის სკოლა

RISEBA University of Applied Sciences, Latvia

„Erasmus + სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ცხოვრებას სრულიად სხვა თვალთ შეხედონ და ეზიარონ დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილებას. ამ ნაბიჯის გადადგმა არ იყო მარტივი. საბუთების მოწესრიგების პერიოდი ოდნავ სტრესულიც კი იყო და ზოგჯერ გამიფიქრია კიდევაც, რომ არ ღირს, ან იმის შიში მიპყრობდა, რომ უცხო ქვეყნის ნორმებს, წესებსა და სტრუქტურას ვერ შევეგუებოდი. მინდა აღვნიშნო, რომ დასტურის მეილის მიღებამ თითოეული დამაბრკოლებელი ფიქრი გამიქრო და მართლაც უდიდესი ბედნიერებით ამავესო, რომ თურმე ყველაზე მიულწეველიც კი რეალობად შეგიძლია აქციო.

რისებას უნივერსიტეტში, რიგაში, კავკასიის უნივერსიტეტიდან მარტო მივდიოდი და თან პირველი სტუდენტი ვიყავი, რომელიც ამ უნივერსიტეტმა საქართველოდან მიიღო. მეგონა თავს მარტო ვიგრძნობდი, მაგრამ მთელი Erasmus-ის განმავლობაში სულ მზრუნველი ხალხით და სიახლეებით ვიყავი გარშემორტყმული. საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაცია ხშირად მართავდა წვეულებებს, Erasmus Student Network (ESN) ანალოგიურად ზრუნავდა სტუდენტები ჩაერთო უამრავ სახალისო აქტივობაში, წვეულებებში, ლაშქრობებსა თუ მოგზაურობებში.

უნივერსიტეტიდან მსუბუქად ვიყავი დატვირთული, რაც უამრავ დროს მიტოვებდა რომ სხვა უნარები განმევიტარებინა, მესწავლა რაღაც ახალი ან მემოგზაურა ძალიან ხშირად. Erasmus-ის თითოეული დღე ჩემთვის განსხვავებული, დატვირთული და დაუვიწყარი იყო. შევიძინე მეგობრები მსოფლიოს უამრავი წერტილიდან, რომლებთანაც დღემდე ვაგრძელებ ურთიერთობას. ვთვლი, რომ მსგავსი შანსი ცხოვრებაში ხშირად არ გვეძლევა და მნიშვნელოვანია, რომ ხელიდან არ გავუშვათ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცდად აუცილებლად ღირს და ვამაყობ ჩემი თავით, რომ არ დავნებდი და გავბედე!”